



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №44

2019 წლის 29 მაისი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ორთაბათუმის თემის სოფელ წინსვლაში ქუჩების სახელდების და საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების ნუმერაციის შესახებ“ 2012 წლის 30 ნოემბრის N89 განკარგულების დანართში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

- შევიდეს ცვლილება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 30 ნოემბრის N 89 განკარგულებაში და განკარგულების დანართს დაემატოს შემდეგი პუნქტები:  
სოფელი:წინსვლა(დამატებული ქუჩები)
  - ქუჩა N 2ჩიხი N 4 (ჩიხის გაგრძელება)
  - ქუჩა N 26
  - ქუჩა N 27
  - ქუჩა N 27ჩიხი N 1
- დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას კანონით დადგენილ ვადებში სოფელ წინსვლის ტერიტორიაზე განსათავსებელი მისამართის მანიშნებელი აზრების შესყიდვა და მონტაჟი.
- განკარგულების თაობაზე ეცნობოს გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.
- განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე